

მანანა ბუკია

რამდენიმე ქართველურ-აფხაზური საზიარო ფუძის წარმომავლობის საკითხისათვის

აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე ერთგან აღნიშნავს: „ბოლო ხანებში მითითებულ (ქართველურ და აფხაზურ – მ.ბ) ენათა შორის გამოვლენილმა ბგერათშესატყვისობებმა და ბგერათცვლილებების კანონზომიერებებმა ერთგვარად ნიადაგი „მოასუფთავა“ ნასესხები ლექსიკის გამოყოფისა და სესხების მიმართულების გარკვევისათვის“ (ლომთათიძე, 1999, 25).

ქ-ნ ქეთევანისა და მისი მოწაფეების მიერ გამოვლენილ ბგერათცვლილებების კანონებზე დაყრდნობით შევეცდებით, წარმოვადგინოთ რამდენიმე ქართველურ-აფხაზური საზიარო ფუძე, განვიხილოთ მათი ეტიმოლოგია, ფონეტიკური ბუნება და გამოვავლინოთ სესხების მიმართულება.

ზოგადად შევნიშნავთ, რომ სესხება მეტ-ნაკლები ინტენსივობით ორივე მიმართულებით ხდება. გარდა ამისა, გვაქვს სიტყვათა ნაწილი, რომელიც ორსავე ენაში ნასესხებია, მაგრამ აფხაზურ ფორმას აშკარად ეტყობა, რომ სესხებისას შუალედური რგოლი ქართველური, კერძოდ კი, მეგრულია. შეთვისებულ სიტყვათა მეორე ნაწილში კი შუალედური რგოლის გამოკვლევა ჭირს, რადგანაც ხელშესახები ფონოტაქტიკური მასალა არ გვაქვს.

ჩვენ ვეხებით უკვე განხილულ ფორმებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში აფხაზურადაა მიჩნეული. ძირითადად განვიხილავთ ვ. კვარჭიას მონოგრაფიას „მესაქონლეობის (მწყემსური) ლექსიკა აფხაზურში“ (კვარჭია, 1981).

თავში „მესაქონლეობის რელიგიური ლექსიკა“ ვ. კვარჭია აღწერს მესაქონლეობის მფარველი ღეთაების აითარისადმი მიძღვნილ რიტუალს. შესაწირავ კერძთა შორის ნახსენებია **ა-ხ აჟკაკარ** „კონუსისებრი სამსხვერპლო კვერი“ და შედარებულია მეგრულ **ხოზოკვარ**-ს (კვარჭია, 1981, 49). სქოლიოში მითითებულია, რომ ამ რიტუალურ კერძს ხანდახან **ა-ხ აჟა**-საც ეძახიან. წ. ბჟანიას აღწერილობით, ის ცხვებოდა კერიაზე, ახვევდნენ როდოდენდრონის ფოთლებში, რომელსა **ა-ხ აჟ** ჰქვია და აქედან მოდის კერძის მეორე სახელწოდება.

ამ მსჯელობაში რამდენიმე შეუსაბამობაა. „მეორე სახელწოდება“ სხვა არაფერია, თუ არა მეგრული კომპოზიციის **ხო-**

ზოკვარ-ის პირველი კომპონენტი **ხოზო**. „ხოზო // ხვეზა-ს ყველის გული ჰქონდა და მთლიანად რძეში ხარშავდნენ“ (ჯავახიშვილი, 1986-ა, 207), **ხოზო** გვხვდება ძველ ქართულში **ჰუეზა** სახით: „პური, ღვეზელი“ (აბულაძე, 19731, 57). მამასადაძე, **ხოზოკვარი** კომპოზიტია: **ხვეზა-კვერი**. **ა-ხაჟა** მიღებულია მეგრული **ხოზო**-საგან აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათესხების ფონეტიკური წესების სრული დაცვით, კერძოდ, **ო** ხმოვანი დაშლილია **ჟა** კომპლექსად. თვით მეგრული **ხოზო** პ. ჭარაიას მიაჩნია ქართული **ღვეზელ**-ის (ძე. ქართ. **ჰვეზა** „მრგვალი პური“ (საბა, 1993, 446) ფონეტიკურ სახეცვლილებად (ჭარაია, 1912, 15). პ. ფენრიხი თვლის, რომ აფხაზური **ა-ხაჟა** ფორმა, რომელიც მეგრულიდანაა ნასესხები, მოწმობს **ა**-ს არსებობას მეგრული ფუძის აუსლაუტში (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 714), **ხოზოკვარ** ფუძეში **ო**-ს გამოვლენა იმით აიხსნება, რომ იგი არ არის ბოლოკიდურა პოზიციაში. პ. ჭარაიას ვარაუდით, კომპოზიტმა **ხოზოკვარი** „სამსხვერპლო კვერი“ აფხაზურში შეთვისების შემდეგ **ა-ხაჟაკვარ** ფორმა მიიღო (ჭარაია, 1912, 15), ჩვენ კი ვთვლით, რომ აფხაზური ფორმისთვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო ***ხოზო-კოკორი**. კოკორი ვემო იმერულში „მინიატურული სარიტუალო ხაჭაპურია“. ამ ფორმისაგან მიღებული მარტივი **ა-კაკვარ** აფხაზურის ორივე დიალექტში დასტურდება ამავე სემანტიკით. აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში **ა-კაკვარ** „ხმიადია, რომელიც დიდხანს ინახებოდა, ამიტომ ამზადდნენ მონადირეებისათვის და მწყემსებისთვის“ (კოპეშვიძე, 1980, 129).

მესაქონლეებისთვის განკუთვნილი ჭურჭლის აღმნიშვნელ სახელთა განხილვისას ვ. კვარჭია აღნიშნავს, რომ „საბჭოთა პერიოდამდე სპილენძის ჭურჭელს **ა-ქაბ**-ს ამზადდნენ ადგილობრივი მჭედლები აფხაზეთში შემოტანილი ნედლეულით“ (კვარჭია, 1981, 135). **ა-ქაბ** ქართველური ქვაბ-ისაგან არის მიღებული. შდრ. **ქვაბი** „ლითონის ჭურჭელი საჭმლის მოსახარმად ან წყლის გასაცხელებლად“ (ქეგლ, VII, 296); ძვ. ქართ. **ქვაბი** „ქვაბი“ (აბულაძე, 1973, 456), სვან. **ქვაბ** // **ქვაბ** „გამოქვაბული, ქვაბი“ (თოფურია, 2000, 788).

აფხაზურსა და აბაზურში გვაქვს იმავე სემანტიკის **ა-ქვაბ** „ქვაბი“ (ჯანაშია, 1954, ბჟანია 1962, 135, ინალ-იფა, 1986, 158); აბაზ. **ქვაბ** (შაგიროვი, 1989, 139). ჯერ კიდევ პ. ჭარაია მიუთითებდა, რომ ეს სიტყვა აფხაზურს ქართველურიდან აქვს შეთვისებული (ჭარაია, 1912, 13).

თუ ადგილობრივი მჭედლები თავიანთ ნაწარმს ამ სახელს არქმევდნენ, უნდა დავფიქრდეთ რეგიონის სამეტყველო კოდზე – ან აფხაზურის გვერდით ქართველური ენაც იყო გავრცელებული, ან ტერმინის გამოყენება ოდინდელი ვითარების გამოხმაურებაა, როცა ადგილობრივი მეტყველება ქართველური იყო. ამ სიტყვის ქართველურ წარმომავლობაზე მიუთითებს ა. შაგიროვიც (შაგიროვი, 1989, 140).

ტერმინთა შორის განხილულია **ა-ნგა** „საწველელი“ (კვარჭია, 1981, 123). მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი საერთო აფხაზურ-აბაზური სიტყვაა, იმორჩმებს ი. ყიფშიძეს, რომელსაც, მეგრული სალექსიკონო ერთეულის განმარტებისას პარალელურ ფორმად მოხმობილი აქვს აფხაზური **ანგა** (ყიფშიძე, 1914, 291), თუმცა იქვე უთითებს, რომ პ. ჭარაია მეგრულიდან შეთვისებულად მიიჩნევდა (ჭარაია, 1912, 31).

ვ. კვარჭიას მხოლოდ მითითებას არ სჯერდება და გვთავაზობს ტერმინის სემანტიკის მისეულ ვერსიას: სიტყვა მიღებულია **ა-ნგ** პრევერბზე (რამეზე ან რამეში ყოფნა) –**გა** საჭურვლის სუფიქსის დართვით და ეტიმოლოგიურად განიხილება, როგორც „ის, რითაც უნდა აიღო, წაიღო“, მაგ. **ახშ ნგა** („რძის საწველელი“) „ის, რითაც რძე მიაქვთ“.

რეალურად **ნიგა** ფართოდ არის გავრცელებული დასავლურ დიალექტებში: გურ. **ნოგა** „ხის თუნგი ჩაიდნის მაგვარი გადმოსასხმელი აქვს“ (ჟღენტა, 1936, 237); ზემოიმერ. **ნოგა** „ბათმანის მსგავსი ხის ტუჩიანი ჭურჭელი, რომელშიც მეჯოგეები წველიან მთაში ძროხას“ (მოწენიძე, 1974, 292); **ნოგა** „ერთიანი ხის ჭურჭელი. ფართოში ძროხებს წველიან, ვიწროში სულგუნს და ნოგის ყველს აწყობენ“ (გაჩეჩილაძე, 1976, 109); იმერ. **ნიგა** „რის ჩასაწველი ჭურჭელი“ (ჯავახიშვილი, 1986, 183); აფხაზურში მხოლოდ აბჟურში გვხვდება **ა-ნგა** „საწველელი“ (ჭარაია, 1912, 31; ჯანაშია, 1954, 212, ბჟანია, 1962, 135, კვარჭია, 1981, 51). ამოსავალ ფორმად აუცილებლად მეგრული **ნიგა** უნდა ვივარაუდოთ, მით უმეტეს, ეს ტერმინი აბეურის არეალში გვხვდება, ბზიფურში მას **ა-ნარ** ჩაენაცვლება (ინალ-იფა, 1986, 158), რაც ზედმიწევნით „წველას, საწველელს“ ნიშნავს.

მეგრ. **ნიგა** „ხის ვედრო“ სვანურიდან შეთვისებულად მიაჩნია გ. როგავას. სვან. **ნელარ** „კასრი“. **ნელარ** > ***ნეგარ** > ***ნიგარ** > **ნიგა**. ნიგა მეგრულიდან ჩანს შესული ქართულის დასავლურ კილოებში, ასევე აფხაზურში: **ა-ნგა** „საწველი, დურკი“. სვან. **ნელარ** > **ნიგა** სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ამ შე-

მთხვევაში სვანური ლ სპირანტი მეგრულს გადაუღია გ ხშულით. ეს შეიძლება მომხდარიყო იმ დროს, როცა სვანურში ჯერ კიდევ მოქმედი იყო მჟღერი ფარინგალური ხშული (როგავა, 1978, 40). მ. ჩუხუა ამოსავალ საერთოქართველურ ფორმად მიიჩნევს ***ნოგა** „ხის ჭურჭელი, დურკი“ > ქართ. **ნოგა** > // **ნურბა** : ზან. **ნიგა** // < **ნგა** (ჩუხუა, 2003, 171).

საზიარო ტერმინებად განვიხილავთ მეგრულ **ჩალა** // აფხაზურ **ა-ჩალა** ფუძეებს. მეგრული სიტყვა „გლახაკს, გონებაჩლუნგს, სულელს, ჩერჩეტს, ლაჩარს“ ნიშნავს (ქაჯაია, 2002-ა, 289), აფხაზური კი „ავადმყოფ საქონელს“ (კვარჭია, 1981, 108).

ვ. კვარჭიას განმარტებით, ტერმინი აფხაზურია. მისი პირველი ნაწილი **აჩ** „ავადმყოფობას“ ნიშნავს, **-ლა** სუფიქსი კი „რამეში, რამეზე ყოფნას“ აღნიშნავს. საილუსტრაციოდ კი მოაქვს აფხაზთა მეფის თეოდოსის თიკუნი **ჩალა-მეფე**. გარდა იმისა, რომ **ჩალა-მეფე** მეგრული კომპოზიტია და „ჩერჩეტს, გონებაჩლუნგ მეფეს“ ნიშნავს, შეუძლებელია, მე-10 საუკუნეში ქუთაისში მჯდარ მეფეს აფხაზური თიკუნი ჰქონოდა.

მეგრული ტერმინი ქართველური **ჩალა**-ს სემანტიკის გადაწევით არის მიღებული. შდრ. **ჩალა** „1. სიმინდის, ღომის, ბრინჯისა და მისთ. ღერო და ფოთლები, მეტწილად ხმელი. 2. ჭაობის ან წყლის ნაპირის მაღალი ბალახი ერთგვარი“ (ქეგლ, 1990-1, 1118) : ლაზ. **ჩალა** : მეგრ. **ნაჩალი** „სიმინდის ყანა ჩალის მოჯრის შემდეგ“ (ჩიქობავა, 1938, 145).

ნაშრომში განხილულია ტერმინი **ა-ძაკ** // **ა-ძოკ** „ზაქი, კამეჩის შვილი“ (კვარჭია, 1981, 86), თავად მკვლევარი აღნიშნავს, რომ სიტყვა ძირითადად აბჟუაში გვხვდება და შესადარებლად მოჰყავს მეგრული **ძოკი**, ქართული **ზაქი**.

უპრიანი იქნებოდა და მეცნიერული კეთილსინდისიერება მოითხოვდა აღნიშნულიყო, რომ ტერმინი აბჟურს ქართველურიდან აქვს შეთვისებული ფონოტაქტიკის ზედმიწევნით დაცვით.

ა. შაგიროვი სამართლიანად მიუთითებს, რომ **ა-ძაკ** ქართველურიდან აქვს შეთვისებული აფხაზურს (შაგიროვი, 1989, 143).

ქართული წარმოშობისაა მეორე კომპონენტი (**წრგ**) კომპოზიტებში **ა-კამბაშწრგ** „ბერწი კამეჩი“, **ა-ჟწრგ** „ბერწი ძროხა“ (კვარჭია, 1981, 29). ქ. ლომთათიძე ამ აფხაზურ კომპოზიტის მეორე ნაწილს ქართულ **წურვილ**-ს უკავშირებს (ლომთათიძე, 1999, 26),

ყურადღებას იქცევს აფხაზურ-მეგრული საზიარო ფუძე აფ-

ხაზ. ა-ქაში : მეგრ. ქვაშითი „თიკანი“. ვ. კვარჭია ვარაუდობს, რომ გამორიცხული არაა, აფხაზური ფუძე იგივე წარმოშობისა იყოს, რაც ოსური კუსტ // კოსტ „ერთი წლის ცხვარი“, სვან. ნელაში „ნ თვემდე ბატკანი“ და დასძენს, რომ აფხაზურ ნია-დაგზე შესაძლებელია გამოიყოს ელემენტი თ „ცხვარი“, მაგრამ აფხაზურ ფუძეს ეტიმოლოგია არ ეძებნება (კვარჭია, 1981, 75).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მეგრული ფორმა ქართველურ ქოსტ-თან (ციკანი, შემოდგომობით მთიდან დაბრუნებული თიკანი) ამჟღავნებს ერთობას და საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია *ქუასთ > ქართლ. ქოსტი (< *ქესთ-ი) : ზან. ქვაშით-ი (ჩუხუა, 2003, 255).

ვ. კვარჭია შენიშნავს, რომ „ა-ქაბლა // ა-გამლა „ერთი წლის ხბო“ მხოლოდ აბჟურ დიალექტში გვხვდება, გვაქვს აგრეთვე მე-ზობელ სამეგრელოში ქაბულა // ქაბულე „დეკეული“. ძნელია ითქვას, რომელი ენაა გამსესხებელი და რომელმა ისესხა. ჩანს, ამოსავალი სპარს. გაბილეი უნდა იყოს, რაც „ჯიშიანს“ ნიშნავს (კვარჭია, 1981, 84).

თუმცა ლექსიკური პარალელები სწორადაა მითითებული, მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ მეცნიერის თვალსაზრისს სპარსულიდან სესხების თაობაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზანური ქაბ-ულ-ა სვანურ ღაბ-ნა-სა და ქართულ ჳბ-ო-ს ლექსიკურ ფარდად მიიჩნევა და საერთოქართველურ ტერმინად განიხილება (ჩუხუა, 2003, 262). შესაბამისად, ჩვენთვის მიუღებელია ვ. კვარჭიასეული ვარაუდი სიტყვის სპარსულიდან შეთვისების შესახებ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა საერთო ქართველურ-აფხაზურმა ფუძემ: აფხაზური ა-ნადი „ლოხი“, ა-ჩუნადი „ლოხი ცხენი“ (ჯანაშია, 1954, 202) მეგრული ნოდია „ნელმავალი ცხენი“ (ქაჯაია, 2002, 394).

ტერმინს ვ. კვარჭია სპარსულიდან შეთვისებულად თვლის და ამოსავალ ფორმად მიიჩნევს ენად „სიჯიუტე“, „დაუმორჩილებლობა“ (კვარჭია, 1981, 90), თუმცა იქვე შენიშნავს, რომ პ. ჭარაია სიტყვას ქართველურიდან ნასესხებად თვლის (ჭარაია, 1912, 14).

თავისი არგუმენტის გასამყარებლად მკვლევარს არაფერი მოჰყავს, გარდა საკუთარი ვარაუდისა, რაც ნაკლებად სარწმუნოა. სემანტიკა აშკარად მეგრულ ფორმასთან აახლოებს, რადგანაც სემანტიკურად ნოდია და ა-ნადი ზედმიწევნით ფარავენ ერთმანეთს. კვარჭიას ვარაუდის დაშვების შემთხვევაში აუხსნე-

ლი რჩება აფხაზურში ბოლოკიდურა ი ხმოვნის რაობა. ქართველურიდან შეთვისებულად განიხილავს აფხაზურ ფორმას ა. შაგიროვიც (1989, 143). **ინად** ფორმა ნასესხობის სახით გვაქვს ლაზურში: **ინადი** „სიჯიუტე“ (ჯიქია, 1975, 63), ქართველურ დიალექტებში: ჯავახურში **ინადი** „ქიშპი, სიჯიუტე“ (მელიქიძე, 1974, 34), ქართლურში **ინადი ქნა** „გაჯიუტდა“ (ბეროზაშვილი, 1981, 231), იმერხეულში **ინათი** „ჟინიანობა, სიჯიუტე“ (ნიკოლაიშვილი, 1993, 231), აჭარულში **ინათიანი** „ჯიუტი ცხენი“ (კობერიძე, 1999, 13), ამ ფორმებისგან, მიუხედავად სემანტიკური იგივეობისა, შორს დგას მეგრული **ნოდი** // **ნოდია**, თუმც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სესხებისას ანლაუტში ი ხმოვანი დაიკარგა, თვით ფუძეში კი ა > ო. ერთი რამ ცხადია, მეგრული **ნოდი** // **ნოდ-ია** არის საფუძველი აფხაზური **ა-ნადი** ფორმისათვის. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სესხების ფონოტაქტიკური წესები, კერძოდ, აფხაზურში ნასესხებ სიტყვებში გამსესხებელი ენის ო ხმოვნის ადგილს იჭერს ა, როცა მის წინ დგას სონორი (ლომთათიძე, 1976, 51) აფხაზურ ფორმაში ბოლოკიდურა ი ხმოვნის შენარჩუნება (რომელიც, როგორც ჩანს ნოდ-ი ფორმის სახ. ბრუნვის ნიშანია) ამ სიტყვის სესხების სიახლეზე უნდა მიგვახსენებდეს. წესით იგი ამ პოზიციაში ან უნდა რედუცირებულიყო, ან ნეიტრალური ხმოვანი მოეცა.

სიტყვათა სესხებას ვერცერთი ენა ვერ ასცდება, ეს ბუნებრივი და ენის არსებობის აუცილებელი პირობაა. ქართველურსაც და აფხაზურსაც აქვთ საერთო ლექსიკა, მათ შორის მესაქონლეობის, რომელიც ორივე ენაში შეთვისებულია. რიგ კავკასიურ ენაში გვხვდება კამეჩის აღმნიშვნელი სიტყვა: აფხ. **ა-კამბაშ**, აბაზ. **კამბუშ**, ყაბარდ. **კაზბუშ**, ქართ. **კამეჩი**, მეგრ. **კამბეში**, ხუნძ. **გამუშ** // **კამუშ**, ლეზგ. **გამიშ**, დარგ. **გამუშ**... ვ. კვარჭია მრავალგზის მიუთითებს, რომ **ა-კამბაშ** სიტყვის ამოსავალია სპარსული **გამაშ** (კვარჭია, 1981, 85...), მაგრამ არაა ნათქვამი, რომ აფხაზურისთვის, ისევე, როგორც აბაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართველურია, უფრო ზუსტად, სპარს. **გამეშ** > ქართ. **კამეჩი** > მეგრ. **კამბეში** > აფხ. **ა-კამბაშ**. ქართველურიდან შეთვისებული ფორმაა აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში **ა-ჟკამბაშ** „ფურკამეჩი“, **ა-ცკამბაშ** „ხარკამეჩი“. ასეთი სიტყვები მრავლადაა.

საერთო ბუნებას და ლექსიკურ მსგავსებას ამჟღავნებს მეგრული **ანთარი** (ციფშიძე, 1914, 194) და აფხაზური **აითარ** (არშა, 1980, 12) „მესაქონლეობის მფარველი ღვთაება“, თუმცა გა-

გვიჭირდება დავეთანხმოთ ვ. კვარჭიას, რომელიც აცხადებს, რომ აფხაზური თეონიმი შეითვისა მეგრულმა და ხევსურულმა დიალექტმა **ანთარ**-ისა და **ანატორ**-ის სახით (კვარჭია, 1981, 118).

თავის დროზე ჩვენ ვმსჯელობდით ქართვ. **გვაბანაკი**, **გვაბანი** – აფხაზ. **ა-გვაბანაქ**, **ა-გვაბან** (ბუკია, 2002, 36), ქართვ. **კვახჩა** > აფხაზ. **ა-კვახ-ჩა** (იქვე, 37), ქართვ. **სუმკეტი** > აფხაზ. **ა-შამკათ** (ბუკია, 2003, 26-28), ქართვ. **თარჩია** > აფხაზ. **ა-თარჩეა** (ბუკია, 2006, 132-134) ტერმინთა ურთიერთმიმართებაზე, ამიტომ ამჯერად თავს შევიკავებთ მსჯელობისაგან, მაგრამ შევნიშნავთ, რომ ყველა მათგანი ქართველურიდან არის შეთვისებული აფხაზურში.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

არშბა 1980 – Н. В. Аршба, Словарь животноводческих терминов. Абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми

ბეროზაშვილი, 1981 – თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური ლექსიკონი, თბილისი.

ბუკია, 2002 – მ. ბუკია, მწყემსის სამოსისა და აღჭურვილობის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბილისი.

ბუკია, 2003 – მ. ბუკია, ერთი მეგრულ-აფხაზური სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, ქართველოლოგიური კრებული, II, თბილისი.

ბუკია, 2006 – მ. ბუკია, ცხენოსნობისა და მეცხენეობის ლექსიკა ზანურში, თბილისი.

ბჟანია 1962 – Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми

ბლაჯბა 1964 – Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тбилиси

გაჩეჩილაძე, 1976 – ვ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი.

ინალ-იფა 1986 – Ш. Инал-ипа, Г. Смыр, Р. Чанба, Земледелие и скотоводство у абхазов (Материалы к историко-этнографическому атласу Грузии). Редакторы И. Робакидзе и Л. Акаба. Тбилиси

კვარჯია 1981 – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми

კობერიძე, 1999 – მ. კობერიძე, ზემოიმერულის დარგობრივი ლექსიკა. ავტორეფერატი ფილ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციისა, თბილისი.

კოპეშავიძე 1980 – Г. Г. Копешавидзе, Традиционная пища абхазов, проживающих в Аджарии, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VIII, თბილისი

ლომთათიძე, 1976 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.

ლომთათიძე, 1999 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებისათვის, არნ. ჩიქობავას საკითხავები-X, თბილისი.

მელიქიძე, 1974 – ს. მელიქიძე, ჯავახურის დარგობრივი ლექსიკა. სადისერტაციო ნაშრომი ფილ. მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხაროსხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი), თბილისი.

ჟღენტი, 1936 – ს. ჟღენტი, გურული კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი.

როგავა, 1978 – გ. როგავა, ქართულ ე, ზანურ ი ხმოვანთა შესაბამისობის ახსნისათვის, თსუ შრომები, ენათმეცნიერება, 164, თბილისი.

საბა, 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

სახოკია, 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი.

ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფიფია, 1999 – დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები, თბილისი

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი

ქაჯაია 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ. 1955-1964

ქეგლ, 1990 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, I-II ნაკვეთი, თბილისი.

ყიფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского

(ივერსკო) ენის ს ხრესომატიეი დ სლვარქემ. ს-პბ

შაგიროვი 1989 – ა. კ. შაგიროვ, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва

შამილაძე, 1974 – ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, II, თბილისი.

შაყრილი 1968 – კ. ს. შაკრულ, Некоторые лексические и звуковые соответствия в абхазско-адыгских языках, Сухуми

ჩიქობავა, 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა, 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ძოწენიძე, 1974 – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული დიალექტი. თბილისი.

ჭარაია 1912 – პ. ჭარაია, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, ს.-პბ

ჭარაია, 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1986 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV, ნაწ. I. მესაქონლეობა, თბილისი.

ჯავახიშვილი, 1986-ა – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. III, ნაწ. II. საჭმელ-სასმელი, თბილისი.

ჯანაშია, 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჯიქია, 1975 – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 4. თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში. თსუ შრომები. ენათმეცნიერება. ტ. 164. თბილისი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს
გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008
გვ. 20-31